საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-973

30/06/2021

ქ. თბილისი

„ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შეკვეთილთან ასფალტის საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-334 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 1 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ გამგეობის თავმჯდომარემ და ითხოვა 2014 წლის №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-334 ბრძანებით ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ ასფალტის ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შეკვეთილი) გაიცა №33 (04.06.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობა ხორციელდებოდა შეკვეთილის საკონცერტო დარბაზის მშენებლობისთვის. ვინაიდან მშენებლობა დასრულებულია, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შეკვეთილთან ასფალტის საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-334 ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შეკვეთილთან ასფალტის საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-334 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი